# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 949/06

## გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

ქ. თბილისი 9 დეკემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით ჩომახიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ, შპს გამომცემლობა „ დიოგენე" წარმოდგენილი დირექტორის თ. ლებანიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

**1.1.** ხელშეკრულების საგანია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ`` საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დაფინანსების ფარგლებში თსუ ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის ნაბეჭდი წიგნების შესყიდვა. (ნაბეჭდი წიგნები, ბროშურები და საინფორმაციო ფურცლები CPV22100000)

### 2. შესყიდვის ობიექტი და ხელშეკრულების ღირებულება

**2.1.** შესყიდვის ობიექტის დასახელება, აღწერილობა და ღირებულება:

| № | ავტორი | წიგნის დასახელება | წელი | რაოდენობა | ფასი | ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქარდა ქარდუხი | ძაფზე მოფარფატე სული | 2013 | 2 | 6 | 12.00 |
| 2 | ჯანჯიბუხაშვილი მაკო | მითის პოეტური ტრანსფორმაცია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში | 2011 | 5 | 6 | 30.00 |
| 3 | ბიბილეიშვილი ცისანა | ფრანგულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი | 2010 | 2 | 11 | 22.00 |
| 4 | ჰეროდოტე | ისტორია | 2007 | 2 | 8.5 | 17.00 |
| 5 | ჯანდიერი კოტე | კონკიას ღამე | 2009 | 2 | 6 | 12.00 |
| 6 | მეგრელიშვილი | მოდელი18/12 | 2011 | 2 | 5 | 10.00 |
| 7 | მეგრელიშვილი | ადამიანის ქალაქი | 2010 | 2 | 5 | 10.00 |
| 8 | მორჩილაძე აკა | ძველი გულებისა და ხმლისა. ათტომეული. ტ 1 | 2011 | 2 | 6 | 12.00 |
| 9 | მორჩილაძე აკა | ფალიაშვილი ქუჩის ძაღლები. ათტომეული. ტ 2 | 2011 | 2 | 6 | 12.00 |
| 10 | მორჩილაძე აკა | წიგნი | 2011 | 1 | 7 | 7.00 |
| 11 | მორჩილაძე აკა | ვენერას სიზმარი | 2010 | 1 | 6 | 6.00 |
| 12 | ოსტერი პოლ | მისნის ღამე | 2012 | 2 | 9 | 18.00 |
| 13 | სამადაშვილი ზაალ | ავტოპორტრეტი წიგნების ფონზე | 2012 | 2 | 4 | 8.00 |
| 14 | თუკიდიდე | ისტორია | 2007 | 2 | 11 | 22.00 |
| 15 | ვიანი ბორის | გულსაგლეჯი | 2009 | 2 | 4 | 8.00 |
| 16 | ვუდჰაუსი პ.გ. | დაიკიდე ჯივზ | 2012 | 2 | 8 | 16.00 |
| 17 | წერედიანი დავით | სვანური სიმღერების კვალდაკვალ | 2011 | 2 | 4 | 8.00 |
| 18 | აბაშიძე ირაკლი | პოეზია. პალესტინის დღიური. ტ.1 (ჩემი რჩეული ტ.88) | 2013 | 3 | 5 | 15.00 |
| 19 | აკაკი ვასაძე | მოგონებები და ფიქრები (2 ტომად) | 2010 | 2 | 16 | 32.00 |
| 20 | რ.ამაღლობელი | ლექსები. წ.3 | 2011 | 2 | 4 | 8.00 |
| 21 | დ. ანფიმიადი | ახლოხედვის ტრაექტორია | | 3 | 3.5 | 10.50 |
| 22 | არაბული ა. | სულუქცევრად საკითხავნი | 2013 | 2 | 7.5 | 15.00 |
| 23 | არაბული გ. | ხევსურთა ცხოვრებიდან | 2014 | 2 | 6 | 12.00 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 24 | არისტოფანე | კომედიები ტ.11 (ანტიკური მწერლობა) | 2013 | 4 | 10 | 40.00 |
| 25 | არჩილ ქიქოძე | ჩიტის და კაცის ამბავი | | 1 | 12 | 12.00 |
| 26 | არჯევანიძე ივანე | დავით კლდიაშვილის ახლოს. მოგონება | 2013 | 3 | 4.5 | 13.50 |
| 27 | ასათიანი ირინე | ლაზური ლექსიკონი. ზმნური ძირ–ფუძეები ა–ჰ (კოლხური სერია 8) | 2012 | 3 | 10 | 30.00 |
| 28 | აფხაზავა თეონა, ბჟალავა ელ. | თურქული ენის სახელმძღვანელო 1 (დისკი) | | 6 | 28 | 168.00 |
| 29 | აფხაზავა თეონა, ბჟალავა ელისაბედ | თურქული ენის სახელმძღვანელო. სამუშაო რვეული. 1 | 2014 | 6 | 19 | 114.00 |
| 30 | აფხაზავა თეონა, ბჟალავა ელ. | თურქული ენის სახელმძღვანელო. 1 ლექსიკონი | 2014 | 6 | 7 | 42.00 |
| 31 | ბათიაშვილი გ | ერთი, მხოლოდ ერთი! | 2013 | 2 | 8.5 | 17.00 |
| 32 | ბატიაშვილი ზურაბ | ტრაპიზონის იმპერია XIII ს-ში (სამხრეთ კავკასია და ანატოლია 9) | 2013 | 3 | 7 | 21.00 |
| 33 | ბაქრაძე ეკა | ასი ლექსი | 2014 | 1 | 4.5 | 4.50 |
| 34 | ბაშო მაცუო | ნიოს ტბისაკენ | 2013 | 3 | 6 | 18.00 |
| 35 | ბეკეტი სემუელ | გოდოს მოლოდინში | 2013 | 2 | 8 | 16.00 |
| 36 | მარკ ბელასენი, ოლგა შავერნე | აუტისტი ბავშვი | 2014 | 3 | 8 | 24.00 |
| 37 | ბენიძე სალომე | ამბავი უძინართა | 2013 | 1 | 4.5 | 4.50 |
| 38 | ბერგსონი ანრი | სიცილი | 2014 | 3 | 8 | 24.00 |
| 39 | ბერიაშვილი ბ | ასი ლექსი | 2014 | 1 | 4.5 | 4.50 |
| 40 | ბერიძე ლევან | ფორა | 2014 | 2 | 7 | 14.00 |
| 41 | ბეროუზი უ. ს. | ჯანქი | 2013 | 3 | 10 | 30.00 |
| 42 | ბ.ხარანაული | მთავარი გამთამაშებელი | 2012 | 2 | 10 | 20.00 |
| 43 | ბ.ხარანაული | წიგნი ამბა ბესარიონისა | 2003 | 1 | 8 | 8.00 |
| 44 | ბესიკ ხარანაული | სამოცი ჯორზე ამხედებული რაინდი | 2010 | 2 | 21 | 42.00 |
| 45 | ბექაური მარი | მეორე მხარე | 2013 | 2 | 4 | 8.00 |
| 46 | ბიბილაშვილი | კონგო ანუ ზაირი | 2014 | 3 | 4.5 | 13.50 |
| 47 | ბიბილაშვილი | დრუსილა | 2014 | 3 | 10 | 30.00 |
| 48 | ბიორნსონი | არწივის ბუდე | 2012 | 1 | 3.5 | 3.50 |
| 49 | ბლუმენტალი კარენ | ჯობსი სტივ–სხვაგვარად მოაზროვნე | 2013 | 3 | 4.5 | 13.50 |
| 50 | ბოვუარი | სასოწარკვეთილი ქალი | 2013 | 3 | 5 | 15.00 |
| 51 | ბოლქვაძე ლევან | ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი | 2014 | 3 | 16 | 48.00 |
| 52 | ბორხესი ხორხე ლუის | მსოფლიო მზაკვრობის ისტორია | 2014 | 2 | 8 | 16.00 |
| 53 | ბჟეზინსკი ზ. | დიდი საჭადრაკო დაფა | 2014 | 3 | 19 | 57.00 |
| 54 | რომუალდას ბრანაუსკასი | კურატის შეწირვა | 2013 | 3 | 5 | 15.00 |
| 55 | ბრეგაძე ლევან | თარგმანი და ორიგინალი | 2014 | 3 | 12 | 36.00 |
| 56 | გოთუა ლევან | გმირთა ვარამი. ტეტრალოგია. წ.IV ნაწ. III (ტ..8) | 2012 | 3 | 4.5 | 13.50 |
| 57 | დეკანოზიშვილი | ნამსხვრევები | 2012 | 1 | 6 | 6.00 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 58 | ელიზბარაშვილი | ქიმია ყველასათვის | 2013 | 1 | 8.5 | 8.50 |
| 59 | ელიოტი | უნაყოფო მიწა. 1922 | 2013 | 1 | 6 | 6.00 |
| 60 | თ. აბაშიძე | ოპერეტა და მიუზიკლი | 2008 | 1 | 6 | 6.00 |
| 61 | იაშაღაშვილი | ოსმალური მარში | 2014 | 1 | 6 | 6.00 |
| 62 | ზლატან იბრაჰიმოვიჩი | მე ზლატან იბრაჰიმოვიჩი | 2013 | 1 | 17 | 17.00 |
| 63 | იენსენი იოჰანეს | მეფის დაცემა | 2012 | 1 | 5 | 5.00 |
| 64 | იკსტენა ნორა | ღვთისმშობლის დობილი | 2013 | 1 | 10 | 10.00 |
| 65 | ილტოსპირელი (მ. ღანიშაშვილი) | მთისკილოურნი (ლექსები) | 2014 | 1 | 8.5 | 8.50 |
| 66 | ისთლენდი სემ | წითელი მეფის თვალი | 2013 | 1 | 5.5 | 5.50 |
| 67 | კალანდაძე მერაბ | პროფესორი კონსტანტინე ანთაძე | 2014 | 2 | 4.5 | 9.00 |
| 68 | კალანდია გენო | საგალობლები უფლისთვის | 2014 | 1 | 6.5 | 6.50 |
| 69 | კალანდია თეა | ლაზური ტექსტები (კოლხური სერია 5 ) | 2008 | 1 | 7 | 7.00 |
| 70 | კაფკა ფრანც | რჩეული მოთხრობები | 2013 | 1 | 13 | 13.00 |
| 71 | კორძაია–სამადაშვილი | მარიეტას გზა. წ.14 | 2012 | 2 | 5.5 | 11.00 |
| 72 | კორძაია-სამადაშვილი | შუშანიკის შვილები | 2011 | 2 | 6 | 12.00 |
| 73 | კორძაია-სამადაშვილი | ვინ მოკლა ჩაიკა | 2013 | 2 | 7 | 14.00 |
| 74 | ლაქსნესი ჰალდორ | მყინვარისპირეთი | 2012 | 1 | 8 | 8.00 |
| 75 | ლებანიძე შ. | საშვი კონფლიქტის ზონაში | 2014 | 1 | 10 | 10.00 |
| 76 | ლორენცი კონრად | ადამიანი ხვდება ძაღლს | 2014 | 1 | 19 | 19.00 |
| 77 | ლორთქიფანიძე | გამჭვირვალე | 2013 | 1 | 4 | 4.00 |
| 78 | მამალაძე მარიკა | ჩიხი გადაკვეთამდე | 2013 | 1 | 6 | 6.00 |
| 79 | მაჭავარიანი მ. | პოეზია 1946–1972 ტ.1 | 2013 | 2 | 7 | 14.00 |
| 80 | მაჭავარიანი მუხრან | ჩვეულებრიობით არაჩვეულებრივი | 2014 | 2 | 7 | 14.00 |
| 81 | მეტრეველი როინ | ჯვაროსნული ომები და საქართველოს სამეფო | 2012 | 2 | 4 | 8.00 |
| 82 | ნაბოკოვი ვლ. | ლოლიტა | 2002 | 1 | 10.5 | 10.50 |
| 83 | ნადირაძე ნინო | ჩემი ცვილის ქვეყანავ | 2014 | 1 | 4.5 | 4.50 |
| 84 | [illegible] | [illegible] | 2012 | 1 | 5 | 5.00 |
| 85 | ოდიშარია გურამ | ასი ლექსი | 2014 | 1 | 4.5 | 4.50 |
| 86 | ორბელიანი გრიგოლ | პოეზია. პროზა. წერილები. ტ.1 (ჩემი რჩეული ტ.96) | 2013 | 3 | 7 | 21.00 |
| 87 | როსტომ ჩხეიძე | ქება სიზარმაცისა | 2005 | 2 | 6 | 12.00 |
| 88 | როსტომ ჩხეიძე | წერილები ისტორიის წისქვილიდან | 2008 | 2 | 8.5 | 17.00 |
| 89 | რუსთაველი შოთა | ვეფხისტყაოსანი (ირაკლი ოჩიაურის ილუსტრაციები) | 2012 | 2 | 29 | 29.00 |
| 90 | სამსონაძე ირაკლი | კომედიიდან ტრაგედიამდე აბსურდის ბილეთით. 7 პიესა | 2013 | 1 | 8 | 8.00 |
| 91 | სარამაგო ჟოზე | სიკვდილი ისვენებს. წ.2 | 2013 | 1 | 5.5 | 5.50 |
| 92 | სევერინი ტიმ | იასონის მოგზაურობა | 2014 | 1 | 13 | 13.00 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 93 | ფოლკნერი | სული რომ ამომდიოდა | 2012 | 1 | 9 | 9.00 |
| 94 | ფერაძე ილიკო | მე, ბებია–ბაბუა, დედა, მამა და გია ფერაძე | 2014 | 1 | 10.5 | 10.50 |
| 95 | ქობალია ალიო | მეგრული ლექსიკონი (კოლხური სერია 7) | 2010 | 1 | 25 | 25.00 |
| 96 | ცოცანიძე გ. | შეთე | 2013 | 1 | 12 | 12.00 |
| 97 | ხალვაში ფ. | გუშინ | 2013 | 1 | 7 | 7.00 |
| 98 | ჯავახიშვილი კ | ნაცვალი სახელები | 2012 | 3 | 5 | 15.00 |
| 99 | ჰერმან ჰესე | ნარცისი და გოლდმუნდი | 2011 | 3 | 12 | 36.00 |
| 100 | | ქართლის ცხოვრება. ტ1 | 2012 | 1 | 13 | 13.00 |
| 101 | | ქართლის ცხოვრება. ტ2 | 2012 | 3 | 13 | 39.00 |
| 102 | | ქართლის ცხოვრება. ტ3 | 2012 | 3 | 13 | 39.00 |
| 103 | | ხვარამზე, ვერცხლის თასადამც მაქცია | 2012 | 1 | 8 | 8.00 |
| 104 | | 15 საუკეთესო ქართული მოთხრობა | 2013 | 2 | 8 | 16.00 |
| 105 | | 1001 წიგნი რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ | 2013 | 1 | 5 | 5.00 |
| 106 | | Kartlis Tskhovreba. A History of Georgia | 2014 | 3 | 44 | 132.00 |
| 107 | | ქართულ–თურქული ლექსიკონი | 2014 | 4 | 22 | 88.00 |
| 108 | | გერმანული პოეზიის მცირე ანთოლოგია | 2008 | 3 | 9 | 27.00 |
| 109 | დიმიტრი უზნაძე | ძველი აღმოსავლეთი და საბერძნეთი წ.1 | 2012 | 1 | 7 | 7.00 |
| 110 | დიმიტრი უზნაძე | ძველი აღმოსავლეთი და საბერძნეთი წ.2 | 2012 | 3 | 7 | 21.00 |
| 111 | დიმიტრი უზნაძე | რომი წ.3 | 2012 | 3 | 7 | 21.00 |
| 112 | ჯოვანი ბოკაჩო | დეკამერონი ნაწ.1 | 2014 | 5 | 10 | 50.00 |
| 113 | ჯოვანი ბოკაჩო | დეკამერონი ნაწ.2 | 2014 | 5 | 10 | 50.00 |

**2253.00**

**2.2.** შესყიდვის ობიექტის სრული ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს **2253.00** (ორიათასორასორმოცდაცამეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

**3. ხელშეკრულების კონტროლი**

**3.1.** ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსპექტირების ჯგუფი.

**3.2.** ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული ან მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

**3.3.** ყველა გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი**

**4.1.** მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

**4.2.** შესყიდვის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში (მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე).

**4.3.** ანგარიშსწორება იწარმოებს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტისა (მიღება – ჩაბარების აქტის ფორმა თან ერთვის) და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზრვეული პირის მიერ შედგენილი დასკვნის წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

**5.1.** შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების, ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე.

**5.2.** მიღება-ჩაბარების - აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების გამოუწერლობის შემთხვევაში მიმწოდებელს შეუჩერდება დაფინანსება, ხოლო საკითხის 3 დღის განმავლობაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, მიიღება გადაწყვეტილება მასთან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ

**6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები**

**6.1.** მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #1

**6.2.** შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 დეკემბრის ჩათვლით.

**7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი**

**7.1.** შესყიდვის ობიექტი არ უნდა იყოს მეორადი და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.

**8. ხელშეკრულების პირობების შესრულება**

**8.1.** თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ეკისრება საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0.1 % ოდენობით.

**8.2.** პირგასამტეხლო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ვალდებულების შესრულებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

**8.3.** თუ შემსყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მიმწოდებელს უფლება აქვს გამოიყენოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ზომა და დააკისროს მას საურავი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %.

**9. დაუძლეველი ძალა**

**9.1.** მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისთვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში, ამ გარემოებათა არსებობის განმავლობაში.

**9.2.** დაუძლეველი ძალა გულისხმობს: ომსა და საბრძოლო მოქმედებებს, სტიქიურ უბედურებებს, ხანძარს, გაფიცვებს, სამოქალაქო არეულობას, საკანონმდებლო ცვლილებებს.

**9.3.** დაუძლეველი ძალის მოვლენის დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება,
დაუყოვნებლივ წერილობით მიმართავს მეორე მხარეს ამის შესახებ, თუ დაუძლეველი ძალის მოვლენა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებმა შეიძლება შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

**9.4.** მხარე არ თავისუფლდება პირობებისაგან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ძალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათაა დადგომამდეც განსაზღვრულ ვადებში.

**10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

**10.1.** შემსყიდველი და მიმწოდებელი იღებენ ურთიერთვალდებულებას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის სრული დაცვით.

**10.2.** შემსყიდველს უფლება აქვს:

**ა)** მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი შესრულება.

**ბ)** განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

**გ)** მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე;

**დ)** შეწყვიტოს ხელშეკრულება შესყიდვის ობიექტის ხარისხის და/ან ხელშეკრულების პირობების გაუარესების გამო.

**10.3.** შემსყიდველი ვალდებულია:

**ა)** უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროული გადახდა მიწოდების შემდეგ 15 დღის ვადაში.

**10.4.**მიმწოდებელი უფლებამოსილია:

**ა)** მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში,

**ბ)** მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი დაცვა.

**10.5.** მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

**ა)** შესყიდვის ობიექტის განსაზღვრულ ადგილზე მიწოდება;
**ბ)** უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვა.

## 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

**11.1.** ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
**11.2.** წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

## 12. ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და მოქმედების ვადა

**12.1.** ხელშეკრულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით სათანადო ვალდებულის რეგისტრაციის შემდეგ და მოქმედებს ხელმომწერ მხარეთაა მიერ ნაკისრი ვალდებულებების ამოწურვამდე 2015 წლის 30 იანვრამდე.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

**13.1.** ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულებიდან, უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.
**13.2.** თუ მხარეები 10 კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მოილაპარაკებენ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესს.

## 14. სხვა პირობები

**14.1.** მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
**14.2.** ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მიმოწერა სრულდება ქართულ ენაზე.
**14.3.** წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ წერილობითი ფორმით და ორმხრივი ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.
**14.4.** ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან, ერთი ,,მიმწოდებელთან," ორი - ,,შემსყიდველთან."

## 15. მხარეთა რეკვიზიტები

**შემსყიდველი**

______________________________

**სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**მისამართი:**
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №1
**საბანკო რეკვიზიტები:**
სს ,,რესპუბლიკა ბანკი"
**ა/ა** №345634
**ბანკის კოდი :** 220101757
**საიდენტიფიკაციო კოდი:**
204864548

**თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი**

______________________________

**/დ. ჩომახიძე/**

204864548

**მიმწოდებელი**

______________________________

**შპს ,,გამომცემლობა დიოგენე"**
**მისამართი:**
თბილისი, ა. აფაქიძის 9
**საბანკო რეკვიზიტები:**
ქ.თბილისი, "პროკრედიტ ბანკი"
**ა/ა** №GE66PC0483600100002396/GEL
**ბანკის კოდი:** MIBGGE22
**საიდენტიფიკაციო კოდი**
204876090

**შპს ,,გამომცემლობა დიოგენე"**
დირექტორი

______________________________

/თ. ლეჟავა/

DIOGENE PUBLISHERS LTD

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ
ხელშეკრულება №949/06

9 დეკემბერი 2014 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში შპს „გამომცემლობა დიოგენე"-სთან.

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი — დ. ჩომახიძე

თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი — ი. საღარეიშვილი

თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე — ვ. ბარამიძე

თსუ შესყიდვების განყოფილების უფროსი — ს. სანაძე

თსუ შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი — ლ. ბაყაშვილი